K 191,360
3

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო
კ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო
რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

კულტურის მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი
მუდმივმოქმედი რესპუბლიკური კურსები

# ბიბლიოგრაფიული კარტოთეკების შედგენა მასობრივ ბიბლიოთეკებში

მეთოდური წერილი

თბილისი
1984

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო
კ.მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო
რესპუბლიკური ბიბლიოთეკა
კულტურის მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი
მუდმივმოქმედი რესპუბლიკური კურსები

# ბიბლიოგრაფიული კარტოთეკების შედგენა
# მასობრივ ბიბლიოთეკებში

მეთოდური წერილი

თ ბ ი ლ ი ს ი
1984

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შემდგენელი მ.ცომაია

რედაქტორი ბ.თაყნიაშვილი

ბ65 ბიბლიოგრაფიული კარტოთეკების შედგენა მასობრივ ბიბლიოთეკაში: მეთოდური წერილი /საქ.სსრ სახელმწიფო რესპ.ბიბ-კა. კულტ. მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი მუდმივმოქმედი რესპ.კურსები; შემდგ.მ.ცომაია; რედ.ბ.თაყნიაშვილი. – თბ.,1984.–36 გვ.

78.36

K 191360
3

ეროვნული
ბიბლიოთეკა



წინამდებარე მეთოდური წერილის მიზანია დახმარება გაუწიოს მასობრივი ბიბლიოთეკების მუშაკებს სტატიების სისტემატური, სარეკომენდაციო თემატური, მეთოდური და ბიბლიოგრაფიული საძიებლების, მეთოდური გადაწყვეტილებების კარტოთეკების, მასობრივი ბიბლიოთეკების კატალოგებისა და კარტოთეკების შეერთებული ანბანურ საგნობრივი საძიებლის შედგენისა და წარმოების საქმეში.

იმის გამო, რომ სამხრეთმეცნიერო კარტოთეკის სტრუქტურის, მასალების სისტემატიზაციის პრინციპები საბჭოთა ბიბლიოთეკურ-ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაციის საფუძველზე ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული, თავს ვიკავებთ რაიმე ახალი შესწორება-დამატების რეკომენდაციისაგან.

მეთოდური წერილი ამ კარტოთეკის შედგენისა და წარმოების შესახებ ცალკე გამოიცემა.

ცალკე გამოიცემა აგრეთვე მეთოდური წერილი ბავშვთა შორის მომუშავე ბიბლიოთეკებში კარტოთეკების შედგენისა და წარმოების შესახებ.

ამრიგად, მეთოდური სახელმძღვანელოები ლიტერატურისა და სხვა მასალების პროპაგანდის ისეთ საშუალებებზე, როგორიც არის ბიბლიოგრაფიული კარტოთეკები, რესპუბლიკის ბიბლიოთეკებს სრულად ეძლევათ, რაც გააუმჯობესებს კარტოთეკების წარმოების ხარისხს და იგი თავის მხრივ ხელს შეუწყობს ლიტერატურისა და სხვა მასალების პროპაგანდის მაღალ დონეზე დაყენებას.

ტერმინი "კარტოთეკა" საბიბლიოთეკო პრაქტიკაში გამოიყენება საცნობარო აპარატის იმ ნაწილისათვის, რომელშიც ასახავენ /თავს უყრიან) ბიბლიოთეკის ფონდის ნაწილს, ყველა-იმ მასალას, რომელიც გამოქვეყნებულია ამა თუ იმ თემაზე, მოვლენაზე, საკითხზე.

### <u>1. ბიბლიოგრაფიული კარტოთეკის მნიშვნელობა ლიტერატურის პროპაგანდისა და კითხვის ხელმძღვანელობის საქმეში.</u>

ბიბლიოგრაფიული კარტოთეკა წარმოადგენს გარკვეული სახით სისტემატიზირებულ /თემების მიხედვით, ანბანზე და სხვ./ბარათებს, რომლებიც შეიცავს ბეჭდვური პროდუქციის-წიგნის, ბროშურის, სტატიებ-ის და სხვა მასალების აღწერილობებს.

საბიბლიოთეკო მუშაობის პრაქტიკაში კარტოთეკები უპირველეს ყოვლისა გამოიყენება ცოდნის სხვადასხვა დარგის, სხვადასხვა თემის ირგვლივ არსებული მასალების თავმოსაყრელად, აღრიცხვისათვის /აღნუსხვისათვის/.

კარტოთეკა მოსახერხებელი საშუალებაა ლიტერატურის ბიბლიოგრაფირებისათვის, ის იძლევა საშუალებას სისტემატურად ჩავრთოთ მასში ახლად გამოქვეყნებული მასალები და გავრიცხოთ მოძველებული. ამ და-სხვა მიზეზების გამო ბიბლიოთეკებში კარტოთეკები ფართოდ გამოიყე-ნება.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ გამოფენას ლიტერატურის პროპაგან-დის საქმეში მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება. მაგრამ ყველგან რო-დია იმის საშუალება, რომ იყოს მოწყობილი თუნდაც ერთი-ორი მუდმივი გამოფენა. არც თუ ისე იშვიათია ცხოვრების მიერ წამოჭრილი საკითხი-სადმი მიძღვნილი გამოფენის ოპერატიულად მოწყობის საჭიროება. ყოველ ღირსშესანიშნავ და სამახსოვრო თარიღსაც ხომ უნდა მიეუძღვნათ იგი. ამისათვის კი ბევრგან არც გამოფენის ფართია საკმარისი და არც ადგი-ლი.

ასეთი გარემოებიდან გამოსავალს ბიბლიოთეკარები კარტოთეკების შედგენაში პოულობენ. მართალია, კარტოთეკები რაც არ უნდა შინაარსია-ნად და მიმზიდველად იყოს გაფორმებული და სათანადოდ პროპაგანდაც უწევ-დეს მას, გამოფენის ოდენა შთაბეჭდილებას ვერ მოახდენს, მაგრამ როცა სხვა გამოსავალი არ არის, კარტოთეკა რომ არ შევადგინოთ არ შეიძლე-ბა.

როგორც ცნობილია, სარეკომენდაციო სიის შესადგენად მასალების

ეროვნული ბიბლიოთეკა

შერჩევისას დგება კარტოთეკა, ამ კარტოთეკას დამხმარე მნიშვნელობა აქვს; ის შედგება მასალებისაგან, რომლებიც ჯერ კიდევ შესასწავლია საბოლოოდ არჩევისათვის, საჭიროა მათი სისტემატიზაცია, ანოტირება.- ყველა ამ სამუშაოს შესრულების შემდეგ კარტოთეკა იქცევა სარეკომენდაციო სიის ბარათულ პირად.

ამრიგად, ამ დასახელებულ ბიბლიოგრაფიულ სახელმძღვანელოებს შორის პრინციპული სხვაობა მასალების შერჩევისა და სისტემატიზაციის საქმეში არ არის. განსხვავება მათ შორის მხოლოდ გაფორმებაშია: ერთ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს სიის ტექსტი, ე.ი. სარეკომენდაციო სია, მეორე შემთხვევაში - აღწერილობები, რომლებიც მოცემულია ბარათებზე, ე.ი. კარტოთეკა.

ერთიცა და მეორე ფორმაც ერთმანეთისაგან განსხვავდება ზოგიერთი ღირსებით და ნაკლოვანებით. სარეკომენდაციო სია შეიძლება გამრავლდეს რამოდენიმე ეგზემპლარად და დაიგზავნოს მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების სხვადასხვა პუნქტში. ეს კი საშუალებას მოგვცემს ეფექტურად ვაწარმოოთ ლიტერატურის პროპაგანდა მოსახლეობის ფართო წრეებში. მაგრამ სარეკომენდაციო სიას ის ნაკლი ახასიათებს, რომ ის მალე ძველდება იმის გამო, რომ არ ხერხდება მასში ახალი წიგნებისა და სტატიების ჩამატება, მალე ჩამორჩება ცხოვრებას.

სიასთან შედარებით კარტოთეკას ის უპირატესობა აქვს, რომ საშუალება გვაქვს მასში სისტემატურად ავსახოთ ახალ-ახალი მასალები და გავანთავისუფლოთ იგი მოძველებულისაგან. თუ ბიბლიოთეკარი, რომელმაც სარეკომენდაციო სია შეადგინა კარტოთეკისაგან, გააგრძელებს მუშაობას მასზე, ე.ი. სისტემატურად შეავსებს მას ახალი მასალებით და გაწმენდს მოძველებულისაგან, შესაძლებლობა ექნება შეადგინოს ახალი სარეკომენდაციო სია. კარტოთეკა, ასე ვთქვათ ლიტერატურის სარეკომენდაციო სიის მოძრავი საფუძველი და წყაროა.

ლიტერატურისა და სხვა მასალების შერჩევა კატალოგებიდან, ზოგადი და სპეციალური ხასიათის კარტოთეკებიდან და აგრეთვე ახალი გამოცემიდან ხდება. თავისთავად იგულისხმება, რომ თემატურ კარტოთეკაში შესატანი მასალის ბარათის კატალოგებიდან და კარტოთეკებიდან ამოღება არ შეიძლება. ბარათები უნდა გადავწეროთ.

იმისათვის, რომ მასალები სწორად შევარჩიოთ, უნდა ვისარგებლოთ სარეკომენდაციო მაჩვენებლებით, რეცენზიებით, „კრიტიკული მიმოხილ-

ვებით, სპეციალისტების რჩევა-დარიგებებით.

ბიბლიოგრაფიული კარტოთეკა ბიბლიოგრაფიული საძიებლის შემცვლელია. იმ შემთხვევაში თუ გვაქვს სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიული საძიებელი რომელიმე კონკრეტულ საკითხზე, არ არის საჭირო ბიბლიოთეკას ჰქონდეს თავისი დამოუკიდებელი ბიბლიოგრაფიული კარტოთეკა იმავე საკითხზე. ასეთ შემთხვევაში საკმარისია გვქონდეს დამხმარე კარტოთეკა, რომელშიც უნდა აისახოს მხოლოდ ახალი მასალები, რომლებიც ამ საძიებლის შედგენის შემდეგ გამოქვეყნდა. ასე მაგალითად: 1981 წელს კ.მარქსის სახ.საქ.სსრ სახელმწიფო რესპუბლიკურმა ბიბლიოთეკამ გამოსცა სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიული საძიებელი თამბაქოს წევის მავნეობის შესახებ. აღნიშნულ თემაზე ბიბლიოთეკებში უნდა შეიქმნას კარტოთეკა და გაგრძელდეს ზემოდასახელებული საძიებლის გამოცემის შემდეგ გამოქვეყნებული მასალების შეგროვება. ეს კარტოთეკა საძიებლის გაგრძელება იქნება და მას სახელწოდებაც და სტრუქტურაც ისეთივე უნდა ჰქონდეს, როგორიც დაბეჭდილ საძიებელს აქვს.

რამდენადაც თემატურ კარტოთეკებს გარკვეული დანიშნულება აქვთ, და ჩვეულებრივ მკითხველები ბიბლიოთეკის კატალოგებისა და სტატიების - სისტემატური კარტოთეკისაგან დამოუკიდებლად სარგებლობენ, მასში რთავენ არამარტო სტატიებისა და წერილების, არამედ წიგნების აღწერილობებსაც. თემატურ კარტოთეკებში უნდა იყოს ყველა იმ მასალის აღწერილობა, რომლებსაც საშუალება რომ გვქონდა გამოფენის ფარზე გამოვფენდით. აქვე უნდა იყოს ბარათზე გადატანილი ის ციტატები, დიაგრამები და ციფრები, რომლებითაც აფორმებენ ხოლმე გამოფენებს. კარტოთეკაში უნდა ჩაირთოს თემისადმი მიძღვნილი კინოფილმების, დიაფილმების, დიაპოზიტივებისა და ილუსტრაციების აღწერილობებიც.

მიუხედავად იმისა, რომ თემატური კარტოთეკა სხვადასხვაგვარი მასალების ერთად თავმოყრის თვალსაზრისით ყოვლისმომცველი ჩანს, პროპაგანდის სხვა წყაროსა და საშუალებებთან კავშირის დამყარება მაინც საჭიროა ხოლმე. ეს კავშირი უნდა გამოიხატოს პროპაგანდის ყველა იმ წყაროსა და საშუალებისკენ გაკეთებული მითითებით, რომელშიაც მოცემულია კარტოთეკის მსგავსი მასალა, თემა. იგულისხმება, რომ საჭირო იქნება უკუკავშირიც. მაგალითად: საქაღალდიდან ან ალბომიდან რომელშიც შეიძლება თავმოყრილი გვქონდეს მასალები, რომელიმე გამოჩენილი სპორტსმენის შესახებ, უნდა გავაკეთოთ მითითება სისტემატური კატალოგისკენ ასე:

"იხ. აგრ.: სარეკომენდაციო თემატური კარტოთეკა[illegible] საბავშვო[illegible] სის-ტემატური კატალოგისა და კარტოთეკის...... განყოფილება მრავალწერტი-ლების ადგილზე ჩაიწერება სპორტის იმ სახეობის ინდექსი, რომელშიც იგი გამოდის. კარტოთეკებიდან და კატალოგიდან კეთდება უკუმითითება.

ზემოთნათქვამის შემდეგ შეიძლება ასეთი დასკვნები გავა-კეთოთ: კარტოთეკები საცნობო-ბიბლიოგრაფიული აპარატის მნიშვნელოვანი ნაწილია. ის საშუალებას გვაძლევს გავაძლიეროთ აქტუალური ლიტერა-ტურის, პრესისა და სხვა პერიოდული გამოცემების მასალების პროპაგან-და. თემატური კარტოთეკები არ უნდა აწარმოებდნენ თემატური ბიბლიოგრა-ფიული საძიებლების დუბლირებას, არამედ უნდა წარმოადგენდნენ მის დამა-ტებას, გაგრძელებას; სარეკომენდაციო თემატური კარტოთეკის სტრუქტუ-რა არ უნდა იმეორებდეს მკითხველთა კატალოგების სტრუქტურას; ლიტერატუ-რისა და სხვა მასალების პროპაგანდის ინტერესები მოითხოვს სარეკომენ-დაციო თემატური კარტოთეკების კავშირს მკითხველთა კატალოგებთან, ბიბ-ლიოგრაფიულ საძიებლებთან, საქაღალდეებთან, ალბომებთან.

## 2. ბიბლიოგრაფიული კარტოთეკების სისტემა მასობრივ ბიბლიოთეკებში

მასობრივ ბიბლიოთეკებში ბიბლიოგრაფიული კარტოთეკების სისტე-მა სრულად არის მოცემული საინსტრუქციო-მეთოდურ რეკომენდაციებში

Техника работы централизованной библиотечной системы .— М.: Книга , 1978. — 110с.

წინამდებარე მეთოდური წერილი მიზნად არ ისახავს ინსტრუქციით გათვალისწინებული ყველა კარტოთეკის შედგენისა და წარმოების საკითხე-ბის განხილვას.

ბიბლიოგრაფიული კარტოთეკების შედგენა მოითხოვს დროისა და ძა-ლების მნიშვნელოვან ხარჯვას. ეს მუშაობა ორგანიზებული უნდა იქნეს რაციონალურად, ბიბლიოთეკის ამოცანებისა და შესაძლებლობის გათვალისწი-ნებით.

მეთოდურ წერილში ვრცლად და ამომწურავად არის მოცემული სამსა-ხურებრივი დანიშნულების ისეთი კარტოთეკების შედგენისა და წარმოების წესი, როგორიც არის მეთოდური და ბიბლიოგრაფიული მასალების, მეთოდური გადაწყვეტილებების კარტოთეკები.

ასევე ვრცლად და ამომწურავად არის მოცემული აგრეთვე მკითხვე-ლთა მომსახურებისათვის აუცილებლად საჭირო ისეთი უმნიშვნელოვანესი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარტოთეკების შედგენისა და წარმოების წესები, როგორიც არის, მაგალითად, სტატიების სისტემატური და სარეკომენდაციო თემატური კარტოთეკები.

სარეკომენდაციო თემატურ მაჩვენებლებთან, პლაკატებთან, ლიტერატურის გამოფენებთან ერთად თემატური კარტოთეკები ხელს უწყობენ იმას, რომ მკითხველები გაეცნონ პოლიტიკურ-ცხოვრების, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის აქტუალურ საკითხებს, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს, მოწინავეთა გამოცდილებებს. თემატური კარტოთეკებით ბიბლიოთეკები ეხმაურებიან მიმდინარე მოვლენებს, პოლიტიკურ და სამეურნეო კამპანიებს, ღირსახსოვარ თარიღებს. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თვითგანათლებისა და გეგმიური კითხვისათვის დასახმარებელ კარტოთეკებს. იგულისხმება, რომ ყველა ზემოაღნიშნული კარტოთეკა სარეკომენდაციო ხასიათისა უნდა იყოს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რესპუბლიკის ბიბლიოთეკების მატერიალური ბაზის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის გამო ბიბლიოთეკებში ვერ ხერხდება (ლიტერატურის გამოფენების საჭირო რაოდენობით და ოპერატიულად მოწყობა, ორგანიზება, რის გამოც მკითხველებში ლიტერატურისა და სხვა მასალების პროპაგანდა არ წარმოებს სათანადოდ. აღნიშნული მიზეზის გამო კიდევ უფრო იზრდება თემატური კარტოთეკების როლი და მნიშვნელობა. აქედან გამომდინარე, აუცილებელი ხდება მისი იმაზე უფრო ფართოდ წარმოება, ვიდრე ამის რეკომენდაციას იძლევიან მეთოდური მითითებები.

ცენტრალურ ბიბლიოთეკებსა და მის ფილიალებში უნდა გვქონდეს სკკპ XXVI ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, სკკპ და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიების, ადგილობრივი საბჭოების სესიების, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების, ღირსშესანიშნავი და სამახსოვრო თარიღებისადმი მიძღვნილი მასალების კარტოთეკები.

სასურველია ბიბლიოთეკებში გვქონდეს კარტოთეკები აგრეთვე მარქსისტულ-ლენინური თეორიის სხვადასხვა საკითხებზე, სკკპ შესახებ, ხალხთა მეგობრობაზე, საბჭოთა პატრიოტიზმზე, სახალხო მეურნეობის, ხელოვნებისა და სპორტის სხვადასხვა დარგის საკითხებზე და ბოლოს, თუ გნებავთ, პირველი სიყვარულისადმი ან საერთოდ სიყვარულისადმი მიძღვნილი ლექსების კარტოთეკა.

თემატური კარტოთეკების შედგენა შეიძლება მკითხველთა სხვადასხვა კატეგორიისათვის. ასეთი ხასიათის კარტოთეკების წარმოება ბიბლი

გამომხატველი იქნება, რომ ბიბლიოთეკა დიფერენცირებულად უდგება მკითხველთა მოთხოვნილებებისა და ინტერესების დაკმაყოფილებას.

ვიმეორებთ: საინფორმაციო თემატური ბიბლიოგრაფიული კარტოთეკის მეშვეობით, მის საფუძველზე ადგენენ საინფორმაციო სიებს, კითხვის გეგმებს, აწყობენ ლიტერატურის თემატურ გამოფენებს, აცხადებენ ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვებს, აფორმებენ პლაკატებს და სხვ.

ასე რომ საინფორმაციო თემატური კარტოთეკების შედგენისა და წარმოების აუცილებლობა და მიზანშეწონილობა უდავოა.

## 3. ბიბლიოგრაფიული კარტოთეკების შედგენის ზოგადი საკითხები

ბიბლიოგრაფიული კარტოთეკების სხვადასხვაგვარობის მიუხედავად შეიძლება გამოვყოთ მთელი რიგი ისეთი საერთო საკითხებისა, რომელთა გადაწყვეტაც მოგვიხდება სხვადასხვა სახის კარტოთეკების შედგენისა და წარმოების დროს. საერთო საკითხების ასე თუ ისე გადაწყვეტა გავლენას ახდენს კარტოთეკის შინაარსზე და სტრუქტურაზე, აძლევს მას თავისებურ ხასიათს.

რომელ კარტოთეკასაც არ უნდა ვადგენდეთ, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა წინასწარ განვსაზღვროთ მისი შინაარსი, ე.ი. დავადგინოთ ის საკითხები, რომლებსაც უნდა მოიცავდეს იგი. ეს იმიტომ, რომ არათუ თემატური კარტოთეკის შედგენის დროს, არამედ მაშინაც, როცა სტატიების სისტემატურ კარტოთეკას ვადგენთ, არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მასში თანაბრად, ყველა ასპექტით და ვრცლად იქნება ასახული ყველა საკითხი. მაგალითად: მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მევენახეობა, მეხილეობა, მეცხოველეობა, მებოსტნეობა, მეციტრუსეობა, მემინდვრეობა ფართოდ გავრცელებული დარგებია, ამ საკითხებისადმი მიძღვნილი მასალები სტატიების სისტემატურ კარტოთეკაში არ უნდა იყოს რესპუბლიკის ყველა ბიბლიოთეკაში ერთი და იგივე შინაარსის და მოცულობის. დასავლეთ საქართველოს ბიბლიოთეკების (და ისიც არა ყველა რაიონის ბიბლიოთეკების) სტატიების სისტემატურ კარტოთეკებში თუ ვრცლად უნდა იყოს ასახული მასალები მეციტრუსეობაზე, ყაზბეგის, დუშეთის, ბოგდანოვკის, ახალქალაქის, ცაგერის და ზოგიერთ სხვა არასუბტროპიკული რაიონების ბიბლიოთეკებში მეციტრუსეობაზე უნდა შემოიფარგლოთ მხოლოდ საინფორმაციო-პოპულარული მასალებით. უფრო კონკრეტულად კი, მაგალითად, ოთახში ლიმონის მოშენებისა და მოვლის საკითხებზე, მის კვებით დანიშნულებაზე და სარგებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიანიშავე არსებული და სხვა მსგავსი მასალებით.

არც ერთი და იგივე ტიპის ბიბლიოთეკებში შეიძლება იყოს სტატიების საერთო კარტოთეკა ერთი და იგივე შინაარსისა და მოცულობის. მაგალითად: ფოთისა და რუსთავის საქალაქო ბიბლიოთეკების სტატიების საერთო კარტოთეკებში ერთნაირი მოცულობით და შინაარსით არ უნდა იყოს წარმოდგენილი მეტალურგიის, სანავსადგურო მეურნეობის, ზღვაოსნობის საკითხების შესახებ არსებული მასალები. რუსთავის საქალაქო ბიბლიოთეკაში შინაარსითა და მოცულობით ვრცელი იქნება განყოფილება მეტალურგიაზე. საჭიროებისდა მიხედვით აქ ასახული იქნება მეცნიერული და მეცნიერულ-კვლევითი, ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების, მოწინავეთა გამოცდილების ამსახველი, მეცნიერულ-პოპულარული და სხვა მასალა. ფოთის საქალაქო ბიბლიოთეკაში კი ამ თემაზე სტატიების საერთო კარტოთეკაში მხოლოდ მეცნიერულ-პოპულარული მასალა უნდა იყოს აღნუსხული და პირიქით, - რუსთავის საქალაქო ბიბლიოთეკის სტატიების საერთო კარტოთეკაში სანავსადგურო მეურნეობისა და ნაოსნობის შესახებ არსებულ განყოფილებაში მხოლოდ მეცნიერულ-პოპულარული ხასიათის მასალა უნდა იყოს. თვით ერთი რეგიონის, ერთი და იგივე ტიპის ბიბლიოთეკაშიც კი არის ხოლმე საჭირო დიფერენცირებული მიდგომა კარტოთეკის შედგენის საქმეში. მაგალითად, ფოთის იმ საქალაქო ბიბლიოთეკის სტატიების საერთო კარტოთეკაში, რომლის ტერიტორიაზეც წიაქვილ-კომბინატი მდებარეობს, ამ საკითხზე უნდა იყოს შესაბამისი მასალების ვრცელი განყოფილება, ხოლო ქალაქის მეორე ბოლოში არსებული ბიბლიოთეკის კარტოთეკაში ამ საკითხზე მასალები არ არის საჭირო./მაგრამ ცბ. საერთო კარტოთეკაში ვრცლად უნდა იყოს ეს საკითხი ასახული, ·გაშლილი/.

ბიბლიოთეკების ქსელის ცენტრალიზაცია, გაერთიანება არ შლის ზღვარს მასში შემავალი სხვ ასხვა ტიპის ბიბლიოთეკებს შორის. მათი მუშაობის მიზნებიცა და ამოცანებიც იგივე რჩება. იგივე რჩება მოსამსახურებელი კონტიგენტიცა და ობიექტებიც. მათი მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად კომპლექტდება ფონდები და თავისთავად იგულისხმება, რომ საცნობო-ბიბლიოგრაფიული აპარატიც ამავე პრინციპის შესაბამისად უნდა იგებოდეს.

რესპუბლიკის რაიონების ცენტრებში საოლქო ცენტრალურ ბიბლიოთეკებთან ერთად ფუნქციონირებენ მის ქსელში შემავალი ან ცალკე ცენტრალიზებული ქსელის საქალაქო ბიბლიოთეკები. მათი სტატიების საერთო კარტოთეკები უნდა განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან შინაარსითაც და მოცულობითაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგალითად: ისე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, რესპუბლიკაშიც მეტად აქტუალურია სასურსათო პროგრამის საკითხი. სტატიების სისტემატურ და თემატურ კარტოთეკებში სასურსათო პროგრამისადმი მიძღვნილ მასალებში უნდა იყოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის, მომდევნო პლენუმებისა და ყრილობების, საქართველოს კომპარტიის ყრილობების და ცენტრალური კომიტეტის პლენუმებისა და პარტიული აქტივების კრებების მასალები. დასახელებული მასალები აუცილებელი და მთავარი ნაწილი იქნება ამ თემის კარტოთეკებისათვის როგორც საქალაქო, ისე სარაიონო ბიბლიოთეკებში. მაგრამ საერთო ნაწილისაგან განსხვავებით, საქალაქო ბიბლიოთეკის სისტემატური კარტოთეკის კერძო ნაწილი უნდა განსხვავდებოდეს სარაიონო ბიბლიოთეკის სისტემატური კარტოთეკის კერძო ნაწილისაგან შინაარსითაც და მოცულობითაც. სასურსათო პროგრამის მთელი კომპლექსიდან, რომელიც სახალხო მეურნეობის ყველა დარგს ეხება, საქალაქო ბიბლიოთეკა უნდა შემოიფარგლოს ისეთი საკითხებით როგორიცაა, მაგალითად: ჩვენი ქალაქის სასურსათო პრობლემა, უზრუნველვყოთ ყველა სახეობის სურსათით მოსახლეობის სტაბილური მომარაგება, სასურსათო საქონლის ვაჭრობის მაღალი კულტურისათვის, პურისა და სხვა სასურსათო პროდუქტების მაღალი ხარისხი-ეკონომიის წყაროა, პროდუქტების მოფრთხილება, მათი ეკონომია მოხმარების მაღალი კულტურის ნიშანია, გაუფრთხილდეთ, მომჭირნედ ვხარჯოთ პური, კვების ყველა პროდუქტი, საიმედოდ დავაბინავოთ ესა სასურსათო მარაგები, გავაძლიეროთ ბრძოლა ვაჭრობაში დარღვევების წინააღმდეგ, დარღვეულებებსა და მშენებლობებს - დამხმარე მეურნეობანი, მეურნეობა პირად-სარგებლობა კი საერთო, ჩვენი წვლილი სასურსათო პროგრამის რეალიზაციაში, ქალაქი სოფელს - სასურსათო პროგრამის განხორციელების საქმეში და სხვა ისეთი საკითხებით, რომლებიც დაკავშირებული იქნება ქალაქის იმ საწარმოებისა და დაწესებულებების მუშაობასთან, რომლებიც თავიანთი საქმიანობით ასე თუ ისე მონაწილეობენ ქალაქის სასურსათო პროგრამის განხორციელებაში, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავებაში. ზემოთ ჩამოთვლილი თემებიდან ზოგიერთი სარაიონო ბიბლიოთეკის კარტოთეკებშიც უნდა იყოს. ეს ის თემებია, რომლებიც სოფელი ადგილების ბიბლიოთეკებისთვისაც აუცილებელი და საინტერესოა. მაგალითად: უზრუნველვყოთ ყველა სახეობის სურსათით მოსახლეობის სტაბილური მომარაგება, სასურსათო საქონლის ვაჭრობის მაღალი კულტურისათვის, პურისა და სხვა სასურსათო პროდუქტების მაღ ხარისხი-ეკონომიის წყაროა, გაუფრთხილდეთ, მომჭირნედ ვხარჯოთ პური, კვების ყველა პროდუქტი. არსებითად განმასხვავებელი თემები კი იქნება: სოფ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლის მეურნეობის საბუნებისმეტყველო და ტექნიკური საფუძვლები, მემცენარეობა, სატყეო მეურნეობა, მცენარეთა დაცვა, მეცხოველეობა, სამონადირეო და მეთევზეობის მეურნეობა, ვეტერინარიის როგორც ზოგადი, ისე კერძო საკითხები, მასალები სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილებებზე და სხვ.

დავასკვნათ: ყოველთვის, როცა შევუდგებით კარტოთეკის შედგენას, საჭიროა:

1. განვსაზღვროთ მისი თემა, განვაცალკევოთ იგი მომიჯნავე თემებისა და საკითხებისაგან;

2. დავადგინოთ მკითხველებრივი, მიზნობრივი დანიშნულება;

3. განვსაზღვროთ კარტოთეკის მოცულობა ბიბლიოთეკის პრაქტიკული შესაძლებლობისა და საჭიროების მიხედვით.

4. განვსაზღვროთ იმ მასალების ხასიათი, რომელთა ჩართვასაც ვაპირებთ კარტოთეკაში (წიგნი, ბროშურა, სტატია, ჟურნალები, დიაგრამა, ილუსტრაციების აღწერილობა და სხვ.).

ყველა ეს საკითხი – კარტოთეკის მოცულობა და შინაარსი, მკითხველებრივი და მიზნობრივი დანიშნულება, ჩასართავი მასალების ხასიათის შერჩევა-შეფარდება არის დაკავშირებული ერთმანეთთან და განსაზღვრავს კარტოთეკაში ასასახ მასალებს.

მკითხველთა ინტერესებისა და საკუთარი შესაძლებლობის გათვალისწინებით ბიბლიოთეკები არჩევენ რომელი გაზეთი, ჟურნალი იქნება კარტოთეკის შედგენის წყარო.

რამდენადაც რეგიონის კულტურულ-ეკონომიკური პროფილი და მკითხველთა კონტინგენტის შემადგენლობა შედარებით სტაბილურია, არც თუ ისე ხშირად და მნიშვნელოვნად იცვლება, ამიტომ წყაროები, რომლებიდანაც გათვალისწინებული გვაქვს მასალების შეგროვება, ხშირად დიდი ხნის მანძილზე მუდმივია.

რეგიონის კულტურულ-ეკონომიკურ პროფილში მომხდარი ცვლილებების შესაბამისად უნდა შეიცვალოს კარტოთეკის შედგენის წყაროც და

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგულისხმება, რომ შესაბამისი ცვლილებები აუცილებლად უნდა მოხდეს კარტოთეკაშიც. მაგალითად: რეგიონში დაიხურა ხილის წვენების ქარხანა. რა თქმა უნდა, ხილის წვენების წარმოების, მისი ეკონომიკური და სხვა საკითხებთან დაკავშირებული მასალებით კარტოთეკის შევსება უნდა შეწყდეს და არსებული მასალებისაგანაც უნდა განთავისუფლდეს იგი. ან, ვთქვათ, რეგიონში საფუძველი ჩაეყარა სოფლის მეურნეობის ახალ დარგს, დაიწყო ახალი კულტურის წარმოება, ექსპლოატაციაში შევიდა ისეთი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, მანქანა-იარაღები, რომლებიც ადრე რეგიონში არ მოიპოვებოდა. შესაბამისად უნდა შეირჩეს ის წყარო, რომლიდანაც უნდა ვაწარმოოთ მასალების შერჩევა და კარტოთეკისათვის აღწერა.

არ არის მიზანშეწონილი აღსაწერად ავიღოთ წყაროების მეტად ფართო წრე. ასეთ შემთხვევაში, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, კარტოთეკაში თავს იყრის ისეთი მასალა, რომელიც, მართალია, ასე თუ ისე ეხება თემას, მაგრამ ძალიან ცოტას ან [illegible] არაფერს აძლევს მკითხველს. მასალების ასეთი სიმრავლე ხელს უშლის მკითხველს მნიშვნელოვანი მასალების ძებნაში.

უსათუოდ უნდა გვახსოვდეს, რომ მასობრივი ბიბლიოთეკების პირობებში რა სახის კარტოთეკაც არ უნდა იყოს, მისი დანიშნულება არ არის ამომწურავად აისახოს მასში თემის ირგვლივ არსებული ყველა მასალა, არამედ იგი მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათისა უნდა იყოს.

კარტოთეკების ძირითადი სახეები ცბს-სა და მის ფილიალებში შედგენილად ერთნაირია ხოლმე. ცბ-ში სტატიების სისტემატური კარტოთეკა ხსნის ცბს-ში შემოსული ყველა პერიოდული გამოცემების შინაარსს, ხოლო ფილიალებში მხოლოდ იმ პერიოდული გამოცემების შინაარს ხსნიან, რომელიც შემოდის ფილიალში.

ცბ-ის სტატიების სისტემატური კარტოთეკა ენების მიხედვით ცალცალკე კი არ უნდა ვაწარმოოთ, არამედ იგი შეერთებული უნდა იყოს - ერთი და იგივე საკითხზე ქართულ მასალასთან ერთად რუსული მასალების აღწერილობაც უნდა იყოს ჩართული. საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი ენის აღწერილობები გავაწყოთ პირველად, წყდება იმის მიხედვით, თუ ბიბლიოთეკის მიკრორაიონის მოსახლეობაში რომელი ეროვნების ხალხი ჭარბობს.

სტატიების სისტემატური კარტოთეკის მასალები სისტემატიზირებული უნდა იქნეს. მასალები იმავე პრინციპით კლასიფიცირდება, როგორც

ეროვნული

წიგნები სისტემატური კატალოგისათვის. ამიტომ სტატიებისა და სხვა მასალების სისტემატიზაციისას უნდა ვიხელმძღვანელოთ იმ პრინციპე-ბით და რეკომენდაციებით, რომლებიც მოცემულია სახელმძღვანელოში „Библиотечно-библиографическая классификация. Таблицы для массовых библиотек". — М.: Книга, 1977. — 440 с.

კარტოთეკის სტრუქტურაც ისევე აიგება, როგორც წიგნების სის-ტემატური კატალოგის სტრუქტურა. ამით ადვილდება საჭირო თემაზე და საკითხზე წიგნებისა და სტატიების ძებნა.

სისტემატური კარტოთეკისათვის მასალების შერჩევის დროს მისი თემის, საკითხის, საგნის დადგენისა და გაცნობისთანავე უნდა დავუსვათ ყველა საჭირო -.ძირითადი და დამატებითი ინდექსები თავისი განმარტებებით.

მიუხედავად იმისა, კარტოთეკა უკვე ძირითადად შედგენილია ყველა თავისი განყოფილებებით და ქვეგანყოფილებებით, თუ ახლად დან-ერგებულია და იქ ჯერჯერობით მხოლოდ პირველი საფეხურის დანაყოფები გვაქვს, რომლებიც აღნიშნულის ჩასართავად ერთი ან ორნიშნა ინდექსე-ბიც იკმარებდა, მასალებს უნდა დავუსვათ იმ სიგრძის ინდექსები, როგორიც დადგენილი გვაქვს საბეჭდათ ცხრილებში სისტემატური კატალოგისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, კარტოთეკის ზრდასთან დაკავშირებით, მათი შესაბამის განყოფილებაში ან ქვეგანყოფილებაში ჩასართავად ინ-დექსების დაგრძელება დაგვჭირდება, რისთვისაც ხშირად იმის გამო, რომ მასალის სათაურის მიხედვით შეიძლება ვერ დავადგინოთ მისი თემა, საკითხი, საგანი, შეიძლება ხელახლა დაგვჭირდეს მასალის გაცნობა, რაც ყოვლად გაუმართლებელია, ვინაიდან იგი დამატებით იწვევს დიდი შრომის, ენერგიისა და დროის ხარჯვას.

სტატიების სისტემატური კარტოთეკის განყოფილებებსა და ქვე-განყოფილებებში მასალების აღწერილობები იგივე წესით ლაგდება, როგორც წიგნების სისტემატურ კატალოგში, ე.ი. დასაწყისში ირთვება მარქ-სიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებები, პარტიისა და მთავრობის დადგენილებების, შემდეგ კი სხვა მასალების აღწერილობები ავტორის ან სათაურის ანბანზე.

მასალების აღწერა წარმოებს "ბეჭდვით ნაწარმოებთა ბიბლიოგრა-ფიული აღწერილობა: საინსტრუქციო-მეთოდური მითითებების" მიხედვით.

ვინაიდან სტატიების სისტემატური კარტოთეკის სტრუქტურა იგივეა, როგორც წიგნების სისტემატური კატალოგისა, მისი დანაყოფების გამყოფებიც ისევე უნდა გაფორმდეს, როგორც წიგნების სისტემატური

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კატალოგის გამყოფები. წიგნების სისტემატური კატალოგისა და სტატიების სისტემატური კარტოთეკის გამყოფების გასაფორმებლად სარგებლობენ სახელმძღვანელოთი "Оформление систематического каталога, построенного по таблицам ББК для массовых библиотек. Методические рекомендации". М.: Книга, 1977.-440 с.

როგორც ამ მეთოდური სახელმძღვანელოს შესავალშია ნათქვამი, მასში მოცემულია მასობრივი ბიბლიოთეკებისათვის განკუთვნილი საკლასიფიკაციო ცხრილის ყველა რუბრიკა და განლაგებულია იმ თანმიმდევრობით, როგორითაც მოცემულია იგი ცხრილებში. ნაჩვენებია აგრეთვე ცენტრალური, მარცხენა, მარჯვენა, სხვადასხვა ფერით და შვეულების ზომით განსხვავებული გამყოფების დანიშნულება, თანმიმდევრობა, გაფორმების წესი, მეთოდური რჩევა-დარიგებანი.

ამ მეთოდურ სახელმძღვანელოში მოცემული მასშტაბით, ე.ი. სხვადასხვა ფორმის, მხარის, ფერის, ზომის და რაოდენობის გამყოფებით სისტემატური კატალოგისა და სტატიების სისტემატური კარტოთეკის გაფორმებას აწარმოებენ მასობრივი, მაგრამ დიდი ფონდების მქონე ცენტრალური სარაიონო და საქალაქო ბიბლიოთეკები.

იმის გამო, რომ ჩვენი რესპუბლიკის ცენტრალური სარაიონო და საქალაქო ბიბლიოთეკების ფონდები დიდი არ არის, ამ სახელმძღვანელოს რეკომენდაციების მასშტაბით არც სისტემატური კატალოგის და არც სისტემატური კარტოთეკის გაფორმება არ არის მიზანშეწონილი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სისტემატური კარტოთეკის შედგენისას წინასწარ უნდა განვსაზღვროთ კარტოთეკის მოცულობა და შინაარსი, მკითხველების და მიზნობრივი დანიშნულება, ჩასართავი მასალების ხასიათი, ამ საქმეში დახმარების გაწევა შეუძლია იმ გამოცდილებას, რომელიც დაგროვილი უნდა იყოს რეგიონის კულტურულ-ეკონომიკური პროფილის შესაბამისად ბიბლიოთეკის წიგნობრივი ფონდების ლიტერატურით დაკომპლექტებაში.

თუ რეგიონის კულტურულ-ეკონომიკური პროფილი სწორად არის განსაზღვრული და მის შესაბამისად სწარმოებს ბიბლიოთეკის წიგნობრივი ფონდების დაკომპლექტება, იგულისხმება, რომ წიგნების სისტემატური კატალოგი ასახავს რეგიონის მკითხველთა მოთხოვნილებებისა და ინტერესების დაკმაყოფილებისათვის საჭირო ლიტერატურას, რომელიც განაწილებულია, თავმოყრილია ცოდნის შესაბამის დარგებსა და ქვედარგებში. რამდენადაც სისტემატური კარტოთეკა წიგნების სისტემატური კატალოგის

გაგრძელებაა, ავსებს და ამდიდრებს მას, ამდენად სისტემატურ კარტოთეკაშიც ცოდნის იგივე დარგები და ქვედარგები უნდა გვქონდეს, [illegible] რაც სისტემატურ კატალოგში გვაქვს. სტატიებიცა და სხვა მასალებიც მკითხველთა იმავე კონტინგენტისათვის უნდა შეირჩეს. ისინი შინაარსით და ხასიათით მათს ინტერესებსა და მოთხოვნილებებს უნდა აკმაყოფილებდნენ. აქედან გამომდინარე, სწორედ წიგნების სისტემატური კატალოგის დანაყოფები უნდა იყოს ის ორიენტირი, რომლის მიხედვითაც უნდა დავიწყოთ სტატიების სისტემატური კარტოთეკის მოდელის აგება.

სისტემატური კარტოთეკის სტრუქტურის მოდელი დასაწყისში სრულიად საკმარისია შედგებოდეს ამ ცხრილების მხოლოდ ძირითადი ანუ პირველი საფეხურის დანაყოფებისაგან. შემდეგში კი, ბარათების დაგროვების კვალობაზე, უნდა შედგეს სხვა დანაყოფების გამყოფებიც.

პირველი საფეხურის დანაყოფებიდან სხვა, შემდეგი საფეხურის დანაყოფების გამოყოფისათვის სრულიადაც არ არის საჭირო დაველოდოთ – თანმიმდევრულად ჯერ მეორე შემდეგ კი მესამე საფეხურის დანაყოფების შექმნას და მხოლოდ ამის შემდეგ შევქმნათ მესამე, მეოთხე ან სხვა საფეხურის დანაყოფები.

ახალი დანაყოფის შექმნა მიზანშეწონილი იქნება მაშინაც კი, როცა ერთ გარკვეულ საკითხზე 5-6 აღწერილობა მაინც დაგროვდება. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ მომენტისათვის რომელიმე აქტუალურ საკითხზე უფრო ნაკლები რაოდენობის ბარათებისაგან არ შეიძლება შევქმნათ ახალი დანაყოფი. ძალიან აქტუალურ საკითხზე ერთი ან ორი ბარათისაგანაც კი უნდა შეიქმნას ახალი დანაყოფი. გამყოფი კი უსათუოდ იმ საფეხურის უნდა შედგეს, რომელიც ამ დანაყოფს ეკუთვნის და არა თანმიმდევრული – ჯერ მარცხენა, მერე მარჯვენა, კვლავ მარცხენა, მარჯვენა და ა.შ.

გამყოფი ამ წესით უნდა შედგეს მიუხედავად იმისა, რომ მის წინ შეიძლება მისი თანაბარი საფეხურის გამყოფი იყოს, ე.ი. ერთი და იგივე ფორმისა და მხარის.

ასეთ დროებით თანხვევას, შეუსაბამობას უნდა შევურიგდეთ. დროთა ვითარებაში, როცა კარტოთეკა იმდენად გაიზრდება, რომ იგი ძირითადად დამთავრებულად შეიძლება ჩაითვალოს (რა თქმა უნდა, იგულისხმება, რომ კარტოთეკაზე მუშაობა არ წყდება, მასში სისტემატურად ჩაირთვება ახალ-ახალი მასალები, გაიწმინდება მოძველებულისაგან, შეიქმნება ახალი დანაყოფები), ამ წესით გაფორმებული გამყოფები მათი ლოგიკური თანმიმდევრობით იქნება განლაგებული.

გამყოფების ლოგიკურად გაფორმება და განლაგება ლიტერატუ-

რისა და სხვა მასალების სისტემატიზაციის ფორმა, მისი თვალსაჩინო გამოსახულება, მისი ბაზია. ამიტომ სტატიების სისტემატური კარტოთეკა, ისე როგორც წიგნების სისტემატური კატალოგი, მხოლოდ და მხოლოდ ლოგიკური თანმიმდევრობით უნდა გავაფორმოთ. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ასეც რომ არ იყოს გამყოფების ისე დაფორმება, როცა მის განლაგებას პრინციპად უდევს პირველი და ზოგიერთი სხვა სათაურის გამყოფების გარდა, ერთი და იგივე ფორმის გამყოფის ერთი მარცხნივ, მეორე მარჯვნივ და ა.შ. განლაგება, იმას გამოიწვევს, რომ ყოველი ახალი დანაყოფის გამოყოფისას სისტემატურად დაირღვევა თანმიმდევრობა და მის აღსადგენად მოგვიხდება გამყოფების ხელახლა გადაწერა და ისევ იმავე წესით - ერთი მარცხნივ, მეორე მარჯვნივ და ა.შ. გაწყობა.

ყოველი ახალი გამყოფის გაფორმებისას ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ არ გამოგვრჩეს ამ დანაყოფიდან სხვა, უკვე არსებული დანაყოფისაკენ გადაკვეთით საჭირო მითითებები.

არ შეიძლება გამყოფზე მითითების ისე აღნიშვნა, სანამ არ შემოწმდება გვაქვს თუ არა ის დანაყოფი და იქ იმ საკითხზე ბარათი, რომელზედაც ვაკეთებთ მითითებას. ან პირიქით, უნდა დადგინდეს, ხომ არ არის საჭირო გადაკვეთით მითითება უკვე არსებული დანაყოფიდან ახლად შექმნილი დანაყოფისაკენ.

როგორც ვიცით, ბიბლიოთეკის საცნობრო-ბიბლიოგრაფიული აპარატი რეალობას, ბიბლიოთეკაში არსებულ მასალებს (წიგნებს, ჟურნალებს, სტატიებსა და სხვა მასალებს) უნდა ასახავდეს. მითითების შეუმოწმებლად გადმოტანა გამყოფზე კი იმას გამოიწვევს, რომ მკითხველებს ტყუილად გავაგზავნით იქ, სადაც შესაბამისი მასალა არ არის, ამიტომ არ შეიძლება, როგორც ამას ზოგიერთ ბიბლიოთეკაში აკეთებენ, შეუმოწმებლად გადმოვიწეროთ საკლასიფიკაციო ცხრილიდან ინდექსთან, მისი სიტყვიერ განმარტებასთან ერთად ყველა ის მითითება, რომელიც იქ არის მოცემული.

მსხვილი ბიბლიოთეკები სისტემატურ კარტოთეკებში საკავშირო წიგნის პალატის ანალიტიკური აღწერილობების დაბეჭდილ ბარათებს ხმარობენ. ისინი იწერენ შემცირებული კომპლექტებისა და პროფილის შესაბამისი სერიების დაბეჭდილ ბარათებს. მასალები კლასიფიცირებულია. სხვა საკლასიფიკაციო ცხრილების ინდექსებთან ერთად, მასზე მოცემულია ბბკ-ას ინდექსებიც. აღნიშნული გარემოება აიოლებს კარტოთეკაზე მუშაობას. სამწუხაროდ ქართულ ენაზე ასეთი ბარათები არ იბეჭდება, რის გამოც კარტოთეკების წარმოება მხოლოდ ხელნაწერი ბარათებით ხერხდება.

სარეკომენდაციო თემატურ კარტოთეკაში მასალებს ალაგებენ მათი მნიშვნელობისდა მიხედვით, წიგნად და სტატიებად ფორმალური განცალკევების გარეშე. როგორც ზევით აღვნიშნეთ, პირველ რიგში ვათავსებთ მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებელთა ნაწარმოებებს, პარტიისა და მთავრობის დადგენილებებს. ყველა სხვა მასალა კი ავტორისა და სათაურის ანბანზე იწყობა.

აქაც, ისე როგორც სტატიების სისტემატურ კარტოთეკაში, საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი ენის ლიტერატურა გავაწყოთ პირველად წყობა იმის მიხედვით თუ ბიბლიოთეკის მიკრორაიონის მოსახლეობაში რომელი ეროვნების ხალხი ჭარბობს. სხვა ენებზე არსებული ბარათების განლაგების დროსაც მათი მეტნაკლებობა უნდა მივიღოთ მხედველობაში.

კარტოთეკისათვის შერჩეული მასალები ნაწილდება ქვეთემებად, რომლებიც ხსნიან მის საერთო თემას. ქვეთემებად დანაწილების, მასალების განყოფილებებსა და ქვეგანყოფილებებში თავმოყრის ერთგვარობის უზრუნველყოფის მიზნით მიმართავენ მათ სისტემატიზაციას. კარტოთეკის მასალების სისტემატიზაცია დაზღვეული უნდა იყოს ლიტერატურის კლასიფიკაციის პირობითობებისაგან და უნდა შეესაბამებოდეს საკითხის შინაარსს, თანმიმდევრობას. ამ მიზნით ბიბლიოგრაფები ადგენენ თემის საკლასიფიკაციო სქემას. სქემა დგება სარეკომენდაციო თემატური კარტოთეკის გეგმის მიხედვით. გეგმის შესადგენად კი უნდა გამოვიყენოთ დადგენილება, გადაწყვეტილების, მოხსენების თავები და ქვეთავები, შინაარსი. მაგალითად: სკკპ XXVI ყრილობისადმი მიძღვნილი სარეკომენდაციო თემატური კარტოთეკის თემებად და ქვეთემებად უნდა გამოვიყენოთ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების თავები და ქვეთავები. თემატური კარტოთეკისა და საკლასიფიკაციო სქემის პირველი საფეხურის დანაყოფები შესაბამისად იქნება ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების თემები. I სკკპ საერთაშორისო პოლიტიკა, II სკკპ ეკონომიკური პოლიტიკა განვითარებული სოციალიზმის პერიოდში, III საბჭოთა საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური და სულიერი განვითარება და პარტიის ამოცანები, IV პარტია საბჭოთა ხალხის ავანგარდია. მეორე საფეხურის დანაყოფებად უნდა გამოვიყენოთ ქვეთავები. მაგალითად, ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების მეორე ძირითადი თემის ქვეთემები იქნება 1. სამოცდაათიან წლებში და მეათე ხუთწლედში სსრ კავშირის ეკონომიკური განვითარების ძირითადი შედეგები, 2. ოთხმოციანი წლებისა და მეთერთმეტე ხუთწლედის აქტუალური სახალხო-სამეურნეო პრობლემები, ხოლო მესამე საფეხურის დანაყოფები იქნება, მეორე საფეხურის დანაყოფის ქვეთემები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სქემა უნდა დაიშიფროს. საბოლოოდ თემატური კარტოთეკის საკლასიფიკაციო სქემა, მიუხედავად იმისა ქაღალდზეა იგი შედგენილი თუ კარტოთეკის სახით გვაქვს წარმოდგენილი, ასეთ სახეს მიიღებს. მაგალითისათვის ავიღოთ სკკპ XXVI ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების მეორე თავი. კარტოთეკის სათაური იყოს "სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებები – ცხოვრებაში".

1. სკკპ საერთაშორისო პოლიტიკა.

2. სკკპ ეკონომიკური პოლიტიკა განვითარებული სოციალიზმის პერიოდში.

2.1. სამოცდაათიან წლებში და X ხუთწლედში სსრკ ეკონომიკური განვითარების ძირითადი შედეგები.

2.2. ოთხმოციანი წლებისა და XI ხუთწლედის აქტუალური სახალხო-სამეურნეო პრობლემები.

2.2.1. ოთხმოციანი წლების თავისებურებანი და XI ხუთწლედის მთავარი ამოცანა.

2.2.2. უფრო სრულად, უფრო ეფექტურად გამოვიყენოთ საწარმოო პოტენციალი.

2.2.3. სახალხო მეურნეობის ყველა დარგი გადავიყვანოთ მეცნიერებისა და ტექნიკის მოწინავე მიჯნებზე.

2.2.4. ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების მთავარი მიმართულებანი.

2.2.5. სრულვყოთ ეკონომიკის ხელმძღვანელობის მეთოდები.

აქ ციფრი 2 განსაზღვრავს ამ ძირითადი თემის (პირველი საფეხურის დანაყოფის) ადგილს საკლასიფიკაციო სქემაში. შიფრები 2.1 და 2.2 იმას აღნიშნავს, რომ ეს თემები ამ მე-2 ძირითადი თემის ქვეთემებია. ხოლო შიფრები 2.2.1 2.2.5-მდე ნიშნავს იმას, რომ ეს ქვეთემები მე-2 საფეხურის დანაყოფის თემის ქვეთემებია.

ის, რომ პირველ ხანებში სარეკომენდაციო თემატური კარტოთეკის სტრუქტურის მოდელის ჩამოყალიბებას ძირითადი (პირველი საფეხურის) დანაყოფებისაგან ვიწყებთ, არ ნიშნავს იმას, რომ მასალების მოკლე შიფრი დავუშვათ. (სარეკომენდაციო თემატური კარტოთეკის საკლასიფიკაციო სქემის შესახებ იხილეთ აგრეთვე მეთოდური წერილი "სსრკ სასურსათო პროგრამის განხორციელებისათვის მიძღვნილი მასალების ასახვა მასობრივი ბიბლიოთეკების საცნობარო აპარატში", გვ. 15-18).

შიფრები შესაბამის რუბრიკებთან ერთად კარტოთეკის გამყოფებზე უნდა გადავიტანოთ. სხვადასხვა ფორმის გამყოფები კი ასეთი ლოგიკუ-

რი დაქვემდებარებით უნდა გავაფორმოთ./ნიმუში იკითხება ქვევიდან ზევით/.



ეროვნული ბიბლიოთეკა

-რადგან სარეკომენდაციო თემატურ კარტოთეკებს ბიბლიოთეკის საც-ნობო-ბიბლიოგრაფიულ აპარატში გარკვეული ადგილი უჭირავს, სხვა ბიბ-ლიოგრაფიული წყაროებისაგან დამოუკიდებლადაც ვსარგებლობთ, მკითხვე-ლები ინფორმირებული უნდა იყვნენ როგორც მისი არსებობის შესახებ, ისე წიგნის პროპაგანდის სხვა ისეთ საშუალებებთან მისი კავშირის შე-სახებ, როგორიც არის: ბიბლიოთეკის კატალოგები, ლიტერატურის სარე-კომენდაციო სიები, წიგნის გამოფენები და სხვ.

ინფორმაცია სარეკომენდაციო თემატური კარტოთეკის კავშირის შე-სახებ კატალოგებთან, სარეკომენდაციო სიებთან ასე შეიძლება იქნეს ფორმულირებული: იხ.: სისტემატური კატალოგის ესა და ეს განყოფილება; იხ. აგრ.: ლიტერატურის სარეკომენდაციო სია და პირუკუ: იხ. აგრ.: ესა და ეს სარეკომენდაციო თემატური კარტოთეკა.

სარეკომენდაციო თემატური კარტოთეკების პოპულარიზაციას მათი კატალოგებში ასახვაც შეუწყობდა ხელს. მაგრამ, ჯერჯერობით პრაქტიკა-ში არ არის მიღებული მათი კატალოგებში ასახვა.

როგორც ცნობილია, ნაბეჭდი სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიული წყაროების აღწერილობა სისტემატურ და ანბანურ კატალოგებში თავსდება.

მეთოდური რეკომენდაციების შესაბამისად კი ხომ საჭიროა სარე-კომენდაციო საძიებლის გამოცემის შემდეგ იმავე თემაზე გამოქვეყნებუ-ლი მასალების აღნუსხვა დავიწყოთ და ვაწარმოოთ იგი კარტოთეკის სახი-თ. გამოდის, რომ ერთი და იგივე თემაზე არსებული საძიებლის ერთი ნაწილი ასახული გვექნება კატალოგებში, ხოლო მეორე ნაწილი, ანუ მისი გაგრძელება არა. კიდევ უფრო მეტი: ნაბეჭდი სარეკომენდაციო ბიბლიოგ-რაფიული საძიებლისაგან განსხვავებით სარეკომენდაციო თემატური კარ-ტოთეკით უფრო ხანგრძლივი დროით და მუდმივადაც შეიძლება ვისარგებლოთ, რამდენადაც იგი იმისი წყალობით, რომ გვაქვს საშუალება, და ეს მისი წარმოების აუცილებელი წესიც არის, სისტემატურად შევავსოთ ახალი მა-სალებით, გავწმინდოთ დრომოჭმულისაგან, შეიძლება ათწლეულებით ითქვას, არ ძველდება. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ნაბეჭდი საძიებელი, რომელიც კატალოგებში გვაქვს ასახული, მთლად მოძველდეს, ჩამოსაწერი გახდეს, მისი შემცვლელი, შესაბამისი კარტოთეკა კი კატალოგში არ გვექნება - ასახული. გამოდის, რომ სარეკომენდაციო თემატური კარტოთეკის კატალო-გებში ასახვა ლოგიკურია. მაგრამ კატალოგებში ასახვისათვის საჭიროა გვქონდეს მისი ბიბლიოგრაფიული აღწერის წესი. ასეთი წესი კი არ არსე-ბობს. ამიტომ მანამ, სანამ სარეკომენდაციო თემატური კარტოთეკის კა-ტალოგებში ასახვის საკითხი აღიარებული არ არის და მისი აღწერის

საყოველთაოდ მიღებული წესი არა გვაქვს, ჩვენ შევიმუშავეთ იგი პირო-ბითი სარგებლობისათვის.

იმის გამო, რომ სარეკომენდაციო თემატური კარტოთეკა ბეჭდური ნაწარმოები არ არის და იგი არ ფორმდება შესაბამისი წესით, მოგვიწევს აღწერილობის სტრუქტურისათვის ზოგიერთი ელემენტი შევთხზათ, მივამ-გვანოთ იგი ბეჭდური ნაწარმოების ელემენტებს. ზოგიერთი სარეკომენდა-ციო თემატურ კარტოთეკაში გვაქვს და გამოვიყენოთ, ზოგიერთი კი საერ-თოდ გამოვტოვეთ. მაგალითად: სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიული საძიებ-ლები შემდგენელზე ორიენტირდება, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში ასეთი რამ არა გვაქვს, ამიტომ სარეკომენდაციო თემატური კარტოთეკა სათაურზე აღვწერეთ, ხოლო სათაურად მისი სახელწოდება გამოვიყენეთ. შემდეგ ელე-მენტად მოვიყვანეთ ჟანრის, ნაწარმოების ფორმის და სხვათა განმარ-ტება. ამ ელემენტს აღწერილობის წესის მიხედვით, სათაურთან დაკავში-რებული ცნობა ეწოდება. აქ მკითხველისათვის ყველაზე უფრო საინტერესო, იქნება განვუმარტოთ, რომ იგი სარეკომენდაციო თემატური კარტოთეკაა.

მკითხველისათვის საინტერესო იქნება აგრეთვე იცოდეს კარტო-თეკაში ძირითადი მასალის გარდა რა დამატებითი მასალები მოგვეპოვე-ბა (საკუთარი დამატებითი მასალების შესახებ ცოტა ქვემოთ გვექნება), ამიტომ აღწერილობაში ესეც მოვიხსენიეთ. მის ფორმულირებას გამოგვე-დგება კი ტოლეკის იმ განყოფილების სათაური, სადაც თავმოყრილი გვაქ-ვს დამატებითი მასა ები, ის კი ასე გვაქვს ფორმულირებული. "საილუს-ტრაციო და სხვა მასალები" და ასევე გადმოვიტანეთ ბარათზე.

ზედმეტი არ იქნება თუ აღწერილობაში კარტოთეკის შინაარსს მოვიტანთ.- მისი შინაარსი მისი ქვესათაურები, ქვეთემები იქნება. რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ასეთი რამ აქვს კარტოთეკას და იგი შენიშვნებში მოვიხსენიოთ.

ყველა ზემომოყვანილი მონაცემები სრულიად საკმარისი იქნება იმისათვის, რომ მკითხველს სათანადო წარმოდგენა შეექმნას კარტოთე-კაზე და ამავე დროს არ გადავტვირთოთ აღწერილობა ნაკლებად აუცილე-ბელი და წვრილმანი ელემენტებით.

როგორც აღვნიშნეთ, სარეკომენდაციო თემატური კარტოთეკები - უმეტესწილად, თავისი შინაარსით კომპლექსური ხასიათისაა. კომპლექ-სური ხასიათისაა ჩვენ მიერ მაგალითად მოყვანილი სარეკომენდაციო - თემატური კარტოთეკებიც "საბჭოთა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებ-რივი წყობილება" და "სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებები - ცხოვრე-ბაში", მაგრამ მათი კლასიფიცირება სისტემატურ კატალოგში ასახსავად აუცილებელია. მათი კლასიფიცირება არც თუ ისე ძნელი იქნება ??

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიხელმძღვანელებთ იმ პრინციპით, რომ ძირითადი ინდექსი სარეკომენდაციო თემატური კარტოთეკის სათაურის შესაბამისი უნდა დავუსვათ. კარტოთეკისათვის "საბჭოთა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილება" ძირითადი ინდექსი 67.99(2)0 საბჭოთა სახელმწიფო სამართალი. საბჭოთა მშენებლობა იქნება და მისი აღწერილობა სათანადო განმსაზღვრელის მეშვეობით 67.99(2)0ჯ1 ქვეგანყოფილებაში ან თუ სისტემატური კატალოგი ძველი საკლასიფიკაციო ცხრილებით გვაქვს აწყობილი, მაშინ 34 C (01) ქვეგანყოფილებაში უნდა მოვათავსოთ.

იმ შემთხვევაში თუ სარეკომენდაციო თემატურ კარტოთეკაში ორი ან მეტი მნიშვნელოვანი საკითხი გვაქვს კომპლექსირებული, მაშინ არ უნდა დავიზაროთ და იგი ძირითადის გარდა სხვა შესაბამის ქვეგანყოფილებაშიც უნდა ავსახოთ. მაგალითად: პარტიული განათლების სისტემის სასწავლო კურსისადმი "სკკპ ეკონომიკური პოლიტიკა" — მიძღვნილი სარეკომენდაციო თემატური კარტოთეკა ორ ისეთ უმნიშვნელოვანეს ქვეგანყოფილებებს მიეკუთვნება როგორიც არის 66.61(2)4ჯ1 სკკპ სტრატეგია და ტაქტიკა. პარტიის ხელმძღვანელობა სახელმწიფო, სამეურნეო და კულტურული მშენებლობისადმი და მეორე – 65.9(2)ჯ1 სსრკ ეკონომიკა, რომ მისი ამ ქვეგანყოფილებაშიც ასახვა აუცილებელია. ხოლო სარეკომენდაციო კარტოთეკა თემაზე "სსრკ 1990 წლამდე პერიოდის სასურსათო პროგრამა", რომელიც მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმმა, გარდა პარტიის ისტორიის შესაბამისი პერიოდის - 66.61(2)273 ქვეგანყოფილებისა, თუ მეტი არა, უსათუოდ უნდა ავსახოთ აგრეთვე 65.9(2) ჯ 1 და 65.9(2)32 ჯ 1 ქვეგანყოფილებებში, ვინაიდან სასურსათო პროგრამის განხორციელების ამოცანები მოიცავს როგორც მთლიანად სსრკ სახალხო მეურნეობის, ისე განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებს.

როგორც მიღებულია, სარეკომენდაციო თემატური კარტოთეკა მაშინ დგება, როცა აუცილებელი ხდება მკითხველთა ყურადღება მივაქციოთ იმ აქტუალურ მასალებს, რომლებმაც ვერ პოვეს ჩვენთვის საჭირო, საინტერესო კომპლექსში კატალოგებსა და სტატიების სისტემატურ კარტოთეკაში ასახვა. მაგრამ ხშირად, როგორც ზევით აღვნიშნეთ, სარეკომენდაციო თემატური კარტოთეკების შედგენის აუცილებლობას ბიბლიოთეკის მატერიალურ-ტექნიკური პირობებიც განაპირობებს; ზოგჯერ არ არის საკმარისი გამოფენის ფართი, მაგრამ იგი საჭიროა რომ იყოს, ბევრგან ადგილი

არ იქნება იმისათვის, რომ გამოვდგათ იგი. ამის გამო სარეკომენ-
დაციო თემატურ კარტოთეკებს გამოფენის მოვალეობაც შეიძლება და-
ვაკისროთ, რადგან ამას გავაკეთებთ, კარტოთეკაში უნდა ჩავრთოთ
აგრეთვე ციტატები, დიაგრამები, ფოტოილუსტრაციების აღწერილობები.
ლიტერატურის გამოფენები და სარეკომენდაციო თემატური კარტოთეკები
ციტატებისა და დიაგრამების გარეშე ხომ ნაკლი და ნაკლებად საინ-
ტერესო იქნება. ფოტოილუსტრაციები კი გამოფენებს უფრო მიმზიდველს
ხდის, იპყრობს და იზიდავს მკითხველის ყურადღებას, ე.ი. კარტოთეკა-
ში უნდა ჩავრთოთ ყველა ის მასალის აღწერილობა, რომლებსაც საშუა-
ლება რომ ჰქონოდა გამოფენის ფარზე დაიდებოდა. მართალია, კარტო-
თეკა ნაკლებად თვალსაჩინოა, მაგრამ გამოფენასთან შედარებით ერთი
უპირატესობა აქვს. მას შემდეგ, როცა გამოფენის საჭიროება გაივლ-
ის, ჩვეულებრივ მას შლიან და იქ გამოფენილ მასალებს თავთავის
ადგილზე აბრუნებენ. დროის გასვლის შემდეგ განმეორებით საჭიროებ-
ის შემთხვევაში, გამოფენის მასალებს ხელახლა ძებნა, დრო უნდა.
კარტოთეკა კი იმის გამო, რომ მას ძალიან პატარა ადგილი სჭირ-
დება, დიდხანს, ხშირ შემთხვევაში კი მუდმივად ინახება და, ახალ-
ახალი მასალებით შევსებული, ხელახლა გამოიყენება, ერთს მეორე ემა-
ტება. და ასე უგროვდებათ ბიბლიოთეკებს მდიდარი თემატური კარტოთე-
კები.

ცენტრალური ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფები ახლად შემოსული
ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების გაცნობა-შესწავლას გამოფენებისა
და კარტოთეკებისათვის საჭირო დიაგრამების, ციტატებისა და ფოტო-
ილუსტრაციების შერჩევის თვალსაზრისითაც უნდა აწარმოებდნენ. სარე-
კომენდაციო თემატური კარტოთეკის ბოლოში, სპეციალური გამყოფის ქვეშ,
რომელსაც უნდა ჰქონდეს წარწერა "საილუსტრაციო და სხვა მასალები",
თავი უნდა მოუყაროთ თემის შესაბამის ციტატებს, დიაგრამებს, ილუს-
ტრაციების აღწერილობებს.

ბარათებზე უნდა ჩამოვწეროთ აქ თემისადმი მიძღვნილი დო-
კუმენტური კინოფილმებისა და დიაფილმების დასახელება. მაგალითად
შეიძლება მოვიყვანოთ დოკუმენტური კინოფილმები: "ურღვევი კავშირი",
"ჩვენი სამშობლო-დედამიწის ერთი მეექვსედი", "თაობის ბიოგრაფია" და
სხვ. დიაფილმები: "დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და
მისი საერთაშორისო მნიშვნელობა", "განვითარებული სოციალიზმი —
ახალი წყობილების სოციალურ-ეკონომიკური სისტემის კანონზომიერი
საფეხური". ილუსტრაციების აღწერილობები: "ზამთრის სასახლე აღე-
ბულია", "საბჭოთა ხელისუფლების პირველი სიტყვა" და სხვ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აი როგორ აღიწერება ილუსტრაციები:

Зимний взят/ худож. В.Серов.-Огонек,1982, № 45,I-я с.,обл.

Первое слово Советской власти /худож.Н.Осенов.-Огонек, 1982, № 45, вкл. л. перед. с.25.

იმ პერიოდული გამოცემების შენახვის ვადის გასვლის შემდეგ, რომლიდანაც ილუსტრაციები გვაქვს ამოწერილი, ამოვჭრათ ისინი იქიდან, შევინახოთ კონვერტში, საქაღალდეში ან ალბომში. აღწერილობაში კი მივუთითოთ შენახვის ადგილი.

კინოფილმები და დიაფილმები ცალცალკე ბარათებზე უნდა აღვნუსხოთ. არ არის საჭირო მათი ანბანის ან სხვა რაიმე მონაცემების მიხედვით განლაგება.

კინოფილმების აღწერილობაში უნდა მოვიხსენიოთ მისი სათაური, ფილმის ნაწილების რაოდენობა და გამოსვლის წელი. ეს ელემენტები აღწერილობაშიც ასეთივე თანმიმდევრობით უნდა გადმოვიტანოთ. მაგალითად:

Союз нерушимый.64. I983 г.; Шагай , страна I.ч.I98I г.; Биография поколений.5ч. I98I г.; От парижской коммуны к Октябрю. 2 ч. I978 г.

დიაფილმების აღწერილობაში მხოლოდ სათაურები უნდა მოვიხსენიოთ და ერთმანეთისაგან წერტილ-მძიმეთი გამოვყოთ.

იმისათვის, რომ კინოფილმებისა და დიაფილმების ბარათები ადვილად გავარჩიოთ ერთმანეთისაგან, მათ შეიძლება დავუკეთოთ წარწერები "კინოფილმები", "დიაფილმები".

დიაგრამები შემცირებული მასშტაბით უკეთესი იქნება გადმოვიღოთ საკატალოგო ბარათის იმ გვერდზე, რომელიც დახაზული არ არის. აუცილებელია მივუთითოთ ის წყარო, საიდანაც ამოღებულია ციტატები და დიაგრამები. წყაროების მითითება იმ წესით უნდა ვაწარმოოთ, როგორც ამას ანალიტიკური აღწერის დროს ვაკეთებთ. მაგალითად: ციტატა "დამდგარი ათწლეული-ახალი დიდი ეტაპია კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში, საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარებაში, ახალი ადამიანის ჩამოყალიბებაში" ამოღებულია "სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებებიდან", რომელიც მოთავსებულია წიგნში "სკკპ-XXVI ყრილობის მასალები". ციტატის შემდეგ წყარო ასე უნდა მიეთითოს: —წგ-ში: სკკპ XXVI ყრილობის მასალები.-თბ., 1981.-გვ.204. თუ ეს ციტატა გაზეთიდან ამოღებული გვექნებოდა, მაშინ წყარო ასე უნდა მივუთითოთ: —

- კომუნისტი, 1981, 5 მარ.

დიაგრამა ხშირად არ არის დასათაურებული; თუ რის საილუსტრაციოდ არის იგი მოყვანილი, ამის შესახებ ლაპარაკი იქვე ტექსტში ხდება მოცემული და ამით უნდა ვისარგებლოთ. დიაგრამის სათაური მოკლედ და ნათლად უნდა იყოს ფორმულირებული და მიწერილი. მაგალითად, ასე: "XI ხუთწლედში ხორცის წარმოების ზრდა".

როგორც აღვნიშნეთ, სარეკომენდაციო თემატური კარტოთეკის აღწერილობის სისტემატურ კატალოგში ჩასართავად საჭიროა მას შინაარსის შესაბამისი ინდექსი დავუსვათ. ის კ ვთქვით, რომ ჩვენ მიერ მაგალითად მოყვანილ თემას "სა[illegible]თაო სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილება" ბბკ-ის ინდექსი 67.99(2)[illegible] 1 უნდა დავუსვათ. მაგრამ როგორც ეს, ისე საერთოდ სარეკომენდაციო თემატური კარტოთეკის შინაარსის მაკლასიფიცირებელი ინდექსი, ე.წ. თაროს ინდექსად, ანუ ჩვენს შემთხვევაში სარეკომენდაციო თემატური კარტოთეკის შენახვის ადგილსამყოფელის მაჩვენებლად არ გამოდგება. საქმე იმაშია, რომ სარეკომენდაციო-თემატური კარტოთეკები ისე ბევრი არასოდეს დაგროვდება ბიბლიოთეკაში, რომ მიზანშეწონილი გახდეს მათი სისტემატური წესით დალაგება. ამიტომ ისინი სათაურის ანბანზე გვიწყვია ხოლმე და ეს უფრო მოსახერხებელია, ვიდრე სხვა წესით დალაგება. ასეც რომ არ იყოს, მათი ინდექსის მიხედვით განლაგება თუ მოვინდომეთ, ისინი ჩაბეჭდ სარეკომენდაციო საძიებლებთან ერთად მოხვდება და მათ შორის უნდა [illegible]; ამას კი ფიზიკურად ვერ შევძლებთ, მოუხერხებელი იქნება. ამიტომ ინდექსი აღწერილობის ბარათზე შენახვის ადგილსამყოფელის მაჩვენებლად არ ისმარება. იგი მხოლოდ კი აღწერილობის სისტემატურ კატალოგში ჩასართავად გვინდა. აქედან გამომდინარე, წამოიჭრება საკითხი — რა დავუსვათ ბარათზე თაროს ანუ იმ ადგილსამყოფელის აღსანიშნავად, სადაც გვიწყვია სარეკომენდაციო თემატური კარტოთეკები? ამისთვის უბრალო [illegible] პირობითი ნიშანი უნდა შევქმნათ. იგი შეიძლება იყოს, მაგალითად, იმ ყუთის და ბუდის ნომერი, სადაც მას ვინახავთ და იგი ასე შეიძლება გამოვხატოთ: 2 ყ. 1 ბ. სადაც 2 ყ ნიშნავს იქნება მეორე ყუთს, ხოლო 1 ბ – პირველ ბუდეს. ეს პირობითი ნიშანი აღწერილობის ბარათზე იმ ადგილზე უნდა დავსვათ, სადაც თაროს ინდექსს ვაწერთ ხოლმე. ამ პირობით ნიშანს აღწერილობის კატალოგებში ანბანური წესით ჩასართავად ქვეშ საავტორო ნიშანი შეიძლება დავუსვათ. საავტორო ნიშანი იმის გამო, რომ კარტოთეკა სათაურზე გვაქვს აღწერილი, მასზე — სათაურზე უნდა ავიღოთ. ამრიგად მივიღებთ იმ შიფ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რს, რომლის მეშვეობითაც უნდა მივაგნოთ კარტოთეკას.

საბოლოოდ კარტოთეკის აღწერილობის ბარათი ასეთ სახეს მიიღე-ბს:

| | | |
|---|---|---|
| 2 ყ. 1 ბ. | | საბჭოთა სახელმწიფო და |
| ს 13 | საზოგადოებრივი წყობილება: | |
| | სარეკომენდაციო ლიტერატური | |
| | კარტოთეკა + საილუსტრაციო | |
| | და სხვა მასალები. | |
| | | შინაარსი: I სკკპ - კომუ- |
| | ნიზმის მშენებლობის საქმეში | |
| | საბჭოთა ხალხის ხელმძღვანელი | |
| | და წარმმართველი ძალა....... | |
| 67.99(2)0Я 1 | | ის.ბ.ბ. |

67.99(2)0Я1 საკატალოგო ინდექსია.

### 5. მეთოდური და ბიბლიოგრაფიული მასალების

### სისტემატური კარტოთეკა

მეთოდური და ბიბლიოგრაფიული მასალების სისტემატური კარტოთეკა უნდა შევადგინოთ მასობრივი ბიბლიოთეკებისათვის განკუთვნილი ბბკ-ს ცხრილების განყოფილება "საბიბლიოთეკო საქმე, ბიბლიოთეკათმცოდნეობა. ბიბლიოგრაფია. ბიბლიოგრაფიათმცოდნეობის" (78) შესაბამისად. კარტოთეკა უნდა ასახავდეს ცბს-ში არსებულ მეთოდურ და ბიბლიოგრაფიულ გამოცემებს. კარტოთეკაში რთავენ ყველა სახის ბიბლიოგრაფიულ საძიებელს (მიმდინარე სააღრიცხვო-სარეგისტრაციო, სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიულ გამოცემებს, წიგნებისა და სტატიების თანდართულ ბიბლიოგრაფიის სიის აღწერილობებს. ანალიტიკურად უნდა აღვწეროთ ცალკე გამოცემული საძიებ-

ეროვნული

იების, მეთოდური და ბიბლიოგრაფიული მასალების კრებულების განყოფილე-ბები, თავები, ნაკვეთები. კიდევ უფრო მეტი: კარტოთეკის მეთოდურ ნაწილში კრებულების განყოფილებებიდან, თავებიდან, ნაწილებიდან, რომლებიც გარკვეულ თემებს ეხებიან და რომელთა სათაურებში არ ჩანს თემის კონკრეტული საკითხები, საჭიროების შემთხვევაში ამოვწერეთ ჩვენთვის საინტერესო საკითხები საგნის დონეზე. მაგალითად, კ.ი. კორონკოს წიგნში Организация библиотечных фондов и каталогов მე-15 თავის ერთ-ერთ ქვეთავში მოცემულია თუ როდის და რა წესით უნდა გადახდეს ბიბლიოთეკარს დანაკლისი წიგნების ნაწილობრივი ან მთლიანი ღირებულება. ეს ბევრი ბიბლიოთეკარისთვის საინტერესო საკითხი არც თავის და არც ქვეთავის სათაურში არ არის მოცემული. ამიტომ მისი ამოღება წყაროდან საგნის დონეზე აუცილებელია (თავისთავად იგულისხმება, რომ ჩვენთვის საინტერესო ეს მასალა უნდა დავაკლასიფიციროთ შესაბამისი ინდექსით, ე.ი. იმ თემის ინდექსით რომელი ზოგადი თემის საგანიც ის არის). ჩვენს მაგალითში დანაკლისი წიგნების ჩამოწერისა და მისი ღირებულების გადახდევინების საკითხი ისეთი ზოგადი თემის საგანია, როგორიც არის ბიბლიოთეკის ფონდები და კატალოგები. ვინაიდან ბბკ-ს ცხრილებში ჩვენთვის საინტერესო ამ საგნისათვის უფრო დანაწევრებული ინდექსი არა გვაქვს, ამიტომ მას 78.36 ბიბლიოთეკის ფონდებისა და კატალოგების ინდექსი უნდა მივუსვათ და აქვე ჩავრთოთ. ასეთი წესით ამოკრებილი საკითხების კარტოთეკის მეთოდურ ნაწილ(ში) ჩართვა გაამდიდრებს მას და მით სარგებლობა ბიბლიოთეკარებს დაეხმარება საკითხების სწორად, ინსტრუქციებისა და მეთოდური რეკომენდაციების შესაბამისად გადაწყვეტაში.

იმის გამო, რომ რესპუბლიკის ბიბლიოთეკების მუშაობის პრაქტიკაში საგნობრების საკითხებზე მუშაობის გამოცდილება ნაკლებად გვაქვს, ადვილი არ იქნება ზოგა(დ)ი საკითხის საგნების ფორმულირება.

საგნობრივი რუბრიკა მიღებული და საყოველთაოდ გავრცელებული, ყველასათვის გასაგები, მაგრამ ამავე დროს მეცნიერულად გამართული ტერმინით უნდა იყოს გამოხატული. ამავე დროს რაც შეიძლება მოკლედ, შეკუმშულად, დახვეწილად და კონკრეტულად უნდა იყოს ფორმულირებული. მაგრამ იმის გამო, რომ მისი ერთი სიტყვით ფორმულირება ვერ მოვახერხეთ, ზოგიერთ შემთხვევაში კი ეს არ შეიძლება გაკეთდეს, ან არც იყოს საჭირო, ამ მოხერხებული წესით ინფორმაციის მიღებაზე უარი არ უნდა ვთქვათ. პირიქით, ინფორმაციის მიღების ეს წესი აუცილებელია და ფართოდ უნდა შევიტანოთ მეთოდური მასალების კარტოთეკაში.

რუბრიკების საკითხებზე ჩვენ აქ საუბარს არ გავაგრძელებთ, ვინაიდან მასზე ვრცლად და ამომწურავად არის ლაპარაკი ნ. ლორთქიფანიძის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნში "საგნობრივი კატალოგი", მხოლოდ მოვიყვანთ იმის მაგალითს, თუ როგორ შეიძლება ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი მაგალითის საგნის რუბრიცირება და როგორ მივუთითოთ წყარო, რომელშიც მოცემულია იგი.

საგნობრივი რუბრიკა იქნება "წიგნობრივი ფონდის დანაკლისის ანაზღაურება". რუბრიკა ბარათზე დაუსათაურად გადავიტანოთ. იმის გამო, რომ ეს საკითხი სხვა წყაროებშიც მოიპოვება და მათი მითითებაც საჭირო იქნება, თითოეული მათგანი. თვალსაჩინოებისათვის ახალი სტრიქონით დავიწყოთ.

ყველაფერი ეს ბარათზე ასე იქნება გამოხატული

> წიგნობრივი ფონდის დანაკლისის ანაზღაურება
>
> წყ-ბი: К.Л.Воронко Организация библиотечных фондов и каталогов. М., 1981, გვ. 293.
>
> О повышении материальной ответственности читателей за невозрат библиотечных книг : Постановление Сов.Министров РСФСР (1970 г.) № 521.- Библиотекарь, 1981, № 10, с.46-47.
>
> Справочное бюро: Порядок списания исчезнувшей с полок открытого доступа литературы.- Библиотекарь, 1983, № 8, с.47. იხ.მ.ბ.

ე.ი. საჭიროების შემთხვევაში წყაროები უნდა მოვიყვანოთ მეორე და მესამე ბარათებზეც. ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ აუცილებელია ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ ახალი წესის გამოქვეყნების შემდეგ ძალა ხომ არ დაკარგა ჩვენ მიერ არნუსხულ რომელიმე წყაროში მოცემულმა წესმა-ან რეკომენდაციამ. თუ ასეთი რამ მოხდა, ძველი წყარო. ხაზის გადასმით უნდა გავაუქმოთ, ხოლო ახალი ბარათზე გადავიტანოთ.

მეთოდური სახელმძღვანელოების რეკომენდაციები იმის თაობაზე რომ მეთოდური და ბიბლიოგრაფიული მასალების სისტემატური კარტოთეკა მასობრივი ბიბლიოთეკებისათვის გამოყოფილი ბბკ-ას ცხრილების "საბიბლიოთეკო საქმე. ბიბლიოთეკათმცოდნეობა. ბიბლიოგრაფია. ბიბლიოგრაფიათმცოდნეობის" განყოფილების შესაბამისად რომ უნდა შევადგინოთ და ისიც, რომ ამ კარტოთეკას "მეთოდური და ბიბლიოგრაფიული მასალების" - სისტემატურ კარტოთეკას უწოდებს ხოლმე ყველა რეკომენდაცია და მეთო-

დიკა, იმას ნიშნავს, რომ ეს კარტოთეკა შეერთებული უნდა შევადგინოთ.

თუ კარტოთეკის მეთოდური ნაწილის მასალების სისტემატიზაციისათვის და სტრუქტურის ასაგებად ბბკ-ს ცხრილების 78-ე განყოფილების ინდექსები და მეთოდიკა რომ უნდა გამოვიყენოთ დავას არ იწვევს და გადაწყვეტილია, დასადგენია მისი ბიბლიოგრაფიული მასალების ნაწილის ადგილი კარტოთეკის სტრუქტურაში და შესაძლებელია მათი შეერთების მეთოდი, ხერხი.

განყოფილება 91, რომელშიც თავს იყრის ბიბლიოგრაფიული სახელმძღვანელოები, დიდი მანძილით არის დაცილებული 78-ე განყოფილებას, სადაც შეკრებილი გვხვდება მეთოდური მასალები. მათ შორის მოთავსებულია განყოფილებები: ფილოლოგიური მეცნიერებანი, ფოლკლორისტიკა, ლიტერატურისმცოდნეობა, ხელოვნება, ათეიზმი და რელიგია, ფილოსოფიური მეცნიერებანი. თითქმის ყველა ამ საკითხზე მოიპოვებოდეს იქნება მარქსიზმ ლენინიზმის კლასიკოსთა კრებულები, ცალკეული ნაწარმოებები, საცნობარო მასალები, ლექსიკონები, ენციკლოპედიები, აგრეთვე ბევრი ფუნდამენტური ნაწარმოებები, რაც ასახული იქნება საცნობარო აპარატში დარგების მიხედვით. ამის გამო ბიბლიოგრაფიული სახელმძღვანელოების მხოლოდ თავისი ინდექსით (91) დაკლასიფიცირება გამოიწვევს იმას, რომ ეს მასალები ბბკ-ს ცხრილების სტრუქტურის შესაბამისად საცნობარო აპარატის ბოლოში მოხვდება.

ამ-ორი განყოფილების შეერთება, უფრო ზუსტად კი 91-ე განყოფილების 78-ე განყოფილებაში გადმოტანა მიმართების (:) წესით, ნიშნით უნდა მოხდეს და ეს მიზანშეწონილია მოვახდინოთ ქვეგანყოფილება 78.5 „ბიბლიოგრაფია. ბიბლიოგრაფიათმცოდნეობაში". როგორც ვიცით, ამ დანაყოფის ქვეშ თავს იყრის მასალები ბიბლიოგრაფიის თეორიისა და ბიბლიოგრაფიების, ბიბლიოგრაფიის ისტორიისა და ორგანიზაციის, ბიბლიოგრაფიის სახეობათა შესახებ. იმისათვის, რომ ბიბლიოგრაფიული საძიებლების ჩვენი მეთოდით სისტემატიზაცია და მათი აქ თავმოყრა ლოგიკური გამოვიდეს, 78.5 ინდექსის რუბრიკას უნდა მივუმატოთ 91-ე განყოფილების რუბრიკა "ბიბლიოგრაფიული სახელმძღვანელოები". ამ მეთოდით შედგენილი ინდექსი ზოგადი ბიბლიოგრაფიული საძიებლისათვის ასეთი იქნება 78.5:91, ხოლო დარგობრივი ბიბლიოგრაფიული საძიებლისათვის 78.5 უნდა მივუმატოთ მიმართებით დარგობრივი ბიბლიოგრაფიული საძიებლის ინდექსი. მაგალითად, ასე – 78.5:91:6. ეს იქნება საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგების ბიბლიოგრაფიული საძიებლების ინდექსი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## 6. მეთოდური გადაწყვეტილებების კარტოთეკა

მეთოდური გადაწყვეტილებების კარტოთეკა დამხმარე სამსახურებრივი დანიშნულების კარტოთეკაა. მასში შეაქვთ ის საბიბლიოთეკო, ბიბლიოგრაფიული და ორგანიზაციული მუშაობის საკითხზე მიღებული გადაწყვეტილებები, რომელთა შესახებაც არ არის პასუხი საინსტრუქციო და მეთოდურ რეკომენდაციებში. მასში შეაქვთ აგრეთვე საინსტრუქციო და მეთოდური რეკომენდაციებისაგან განსხვავებული გადაწყვეტილებები, რომლებიც მიღებულია მთლიანად კონკრეტული ცბს-ის ან ცალკეული ბიბლიოთეკა-ფილიალის მოსამსახურებელი მიკრორაიონის თავისებურებების გათვალისწინებით. კარტოთეკაში უნდა ჩავრთოთ აგრეთვე გადაწყვეტილება საბიბლიოთეკო მუშაობის რაიმე საკითხზე ექსპერიმენტის ან დაკვირვების წარმოების თაობაზე. ცვლილებები, დამატებები, შესწორებები ბიბლიოთეკაში შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საკითხებში, საბიბლიოთეკო მუშაობის ტექნოლოგიურ პროცესში და სხვა. კარტოთეკაში რთავენ აგრეთვე საინსტრუქციო და მეთოდური რეკომენდაციების იმ მითითებებს რომლებიც იშვიათად გვჭირდება მუშაობის პრაქტიკაში ან ახალი და საინტერესოა.

მეთოდური გადაწყვეტილებები საკატალოგო ბარათებზე იწერება და მისგან ადგენენ კარტოთეკას. ჩანაწერები არ არის აუცილებელი ბიბლიოთეკური ხელით ვაწარმოოთ, მაგრამ გარკვევით კი უნდა ვწეროთ.

მეთოდური გადაწყვეტილებები უნდა ვეცადოთ ფორმულირებული იყოს მოკლედ და გასაგებად. ყოველი კერძო მეთოდური გადაწყვეტილება ცალკე ბარათზე უნდა მოვათავსოთ. იმ შემთხვევაში, როცა იგი ერთ ბარათზე არ დაეტევა, მეორეზე გადავიტანოთ.

კარტოთეკის სტრუქტურა შეიძლება ავაგოთ მეთოდური მასალებისა და ბიბლიოგრაფიული საძიებლების კარტოთეკის ჩვენ მიერ შედგენილი სტრუქტურის მსგავსად. ასეთ შემთხვევაში იგულისხმება, რომ მეთოდურ გადაწყვეტილებებს, მათ მიზნებებს, თემებს, საგნებს ბბკ-ის შესაბამისი ინდექსი უნდა დავუსვათ, გამყოფებიც სტრუქტურის შესაბამისი სისტემის მიხედვით უნდა გავაფორმოთ.

მაგრამ იმ შემთხვევაში თუ ბიბლიოთეკის მუშაკები ადვილად დაეუფლებიან საგნირების საკითხებს, კარგად შეითვისებენ მას, მაშინ უფრო მიზანშეწონილი იქნება ამ კარტოთეკის საგნობრივი წესით წარმოება. საგნობრივ წესში კი იგულისხმება ის, რომ დავადგინოთ იმ საკითხის საგანი, რომელზედაც ვიღებთ გადაწყვეტილებას, გადავიტანოთ იგი ბარათზე და იქვე ანოტაციაში მოკლედ, მაგრამ სრულად, ამომწუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ გადმოვცეთ გადაწყვეტილების შინაარსი და ასე გაფორმებული ბარათი ჩავრთოთ საგნის ანბანზე. მაგალითად, ვიღებთ გადაწყვეტილებას წიგნის ფორმულარის შედგენის, გამოყენების და სხვა საკითხებზე. ამ საკითხის საგანი იქნება "წიგნის ფორმულარი", გადავიტანოთ იგი ბარათზე იმ ადგილზე, სადაც წიგნის ავტორს ანდა სათაურს ვწერთ. აქვე კი დავიწყოთ ანოტაცია და ჩავწეროთ, თუ როგორ ვაფორმებთ მას, მაგალითად, უნდა ავღნიშნოთ შიფრთან ვწერთ თუ არა ფილიალის ნომერს, როგორ ვწერთ დაბრუნების ვადას, ვწერთ თუ არა მკითხველის ფორმულარის ნომერს, სად - მკითხველის ფორმულარში თუ ცალკე ვინახავთ მას. თუ ცალკე ვინახავთ ავღნიშნოთ უნდა როგორი წესით, კიდევ რისთვის ვიყენებთ მას.

ყოველი გადაწყვეტილების მიღება აუცილებლად უნდა იქნეს განხილული და დამტკიცებული დირექტორის საბჭოს სხდომაზე. და მხოლოდ ამის შემდეგ აქვს მას ძალა და შეიძლება ჩავრთოთ დანიშნულებისამებრ. ზედმეტი არ იქნება თუ ანოტაციის ბოლოში გადაწყვეტილების თარიღს აღვნიშნავთ.

მეთოდური გადაწყვეტილებების კარტოთეკის წარმოებას ცენტრალური ბიბლიოთეკის მეთოდური განყოფილებები უნდა ხელმძღვანელობდნენ. ბიბლიოთეკა-ფილიალებს შეუძლიათ აწარმოონ კარტოთეკა იმ საკითხებზე, რომლებიც მხოლოდ მას, მისი მუშაობის თავისებურებებს შეეხება და აგრეთვე მისთვის საინტერესო ზოგიერთ სხვა საკითხებზე. მთლიანად ცბს-ის მეთოდური გადაწყვეტილებების კარტოთეკის დუბლირება მიზანშეწონილი არ არის.

მეთოდური გადაწყვეტილებების კარტოთეკა უზრუნველყოფს ცალკეულ ბიბლიოთეკებში და მთლიანად სისტემაში საბიბლიოთეკო, ბიბლიოგრაფიული და ორგანიზაციული მუშაობის წარმოების ერთგვაროვნობასა და სტაბილურობას. ამდენად მისი წარმოება მიზანშეწონილია. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ზოგიერთი ბიბლიოთეკა მეთოდური გადაწყვეტილებების კარტოთეკას ცალკე არ აწარმოებს. ისინი მეთოდური გადაწყვეტილებების ბარათებს (მათი სათანადო სისტემატიზაციის შემდეგ) მეთოდური მასალებისა და ბიბლიოგრაფიული საძიებლების კარტოთეკაში რთავენ.

## 7. მასობრივი ბიბლიოთეკების კატალოგებისა და კარტოთეკების შეერთებული ანბანურ-საგნობრივი საძიებელი

იმის გამო, რომ ბევრ მკითხველს სისტემატურ კატალოგსა და სტატიების სისტემატურ კარტოთეკაში და აგრეთვე სხვა სახის კარტოთეკე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბში უჭირს დამოუკიდებლად გზის გაკვლევა იმ განყოფილებისაკენ, სადაც მისთვის საჭირო და საინტერესო მასალებია თავმოყრილი, ბიბლიოთეკებში აწყობენ დამხმარე აპარატს – სისტემატური კატალოგისა და სტატიების სისტემატური კარტოთეკის ანბანურ-საგნობრივ საძიებელს ანუ როგორც მას ხშირად უწოდებენ – "გასაღებს".

დიდ ბიბლიოთეკებში, როგორც წესი, წიგნების სისტემატური კატალოგი და სტატიების სისტემატური კარტოთეკა ბბკ-ს ცხრილების მიხედვით უნდა ჰქონდეს აგებული, "გასაღები" საერთო უნდა შევადგინოთ. ამას ბიბლიოთეკები ასე აკეთებენ: საკატალოგო ბარათის მეორე მხარეს აწერენ საგნობრივ რუბრიკას და მიუწერენ იმ განაყოფის ინდექსს, სადაც უნდა ნახოს მკითხველმა რუბრიკის შესაბამისი მასალა. უფრო მეტიც: ბიბლიოთეკები, რომლებსაც აქვთ მხარეთმცოდნეობითი და თემატური კარტოთეკები, ამავე ბარათზე აწერენ მხარეთმცოდნეობის კარტოთეკის შიფრს და იმ საკატალოგო ყუთისა და ბუდის ნომრებს, სადაც ინახება თემატური კარტოთეკა, რომლებშიც შეუძლიათ აგრეთვე მკითხველებს იპოვონ მათთვის საჭირო და საინტერესო საკითხებზე არსებული მასალები. აქვე უთითებენ აგრეთვე იმ განაყოფს, სადაც თავმოყრილი უნდა ჰქონდეს ამ საკითხზე არსებული ბიბლიოგრაფიული წყაროები.

საგნობრივი რუბრიკიანი ბარათები მათს ანბანზე იწყობა.

ასეთ ანბანურ-საგნობრივ საძიებელს შეერთებულს უწოდებენ. შეერთებული ანბანურ-საგნობრივი საძიებლის ბარათი საბოლოოდ ასეთ სახეს იღებს.

კომუნისტური მშენებლობა სსრკ-ში

| სკ | სსკ | მხარ.კ. | სბს | სთკ |
|---|---|---|---|---|
| 66.3(2) | 66.3(2) | (*)2 | 66.3(2) I | 2 ყ.2 ბ. |

ანბანურ-საგნობრივ საძიებელს წინ უნდა წაუმძღვაროთ შემოკლებების განმარტებანი.

სკ – სისტემატური კატალოგი
სსკ – სტატიების სისტემატური კარტოთეკა
მხარ.კ – მხარეთმცოდნეობის კარტოთეკა
სბს – სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიული საძიებლები
სთკ – სარეკომენდაციო თემატური კარტოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შინაარსი

1. ბიბლიოგრაფიული კარტოთეკის მნიშვნელობა ლიტერატურის პროპაგანდისა და კითხვის ხელმძღვანელობის საქმეში ........................ 4

2. ბიბლიოგრაფიული კარტოთეკების სისტემა მასობრივ ბიბლიოთეკებში ........................ 7

3. ბიბლიოგრაფიული კა რტოთეკების შედგენის ზოგადი საკითხები ........................ 9

4. სარეკომენდაციო თემატური კარტოთეკები ........... 18

5. მეთოდური და ბიბლიოგრაფიული მასალების სისტემატური კარტოთეკა ........................ 29

6. მეთოდური გადაწყვეტილებების კარტოთეკა ........... 33

7. მასობრივი ბიბლიოთეკების კატალოგებისა და კარტოთეკების შეერთებული ანბანურ-საგნობრივი საძიებელი ........................ 34

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Министерство культуры Грузинской ССР
Государственная республиканская библиотека Грузинской ССР
им. К. Маркса

Постоянно действующие республиканские курсы повышения
квалификации работников культуры

**СОСТАВЛЕНИЕ БИБЛИОГРАФИЧЕСКИХ КАРТОТЕК
МАССОВЫХ БИБЛИОТЕКАХ**

Методическое письмо
(На грузинском языке)

Составитель **М. Цомая**

Редактор **Г. Такниашвили**

Тбилиси 1984

შეკვეთა № 426 უე 14092 ტირაჟი 1200

განათლების სამინისტროს სტამბა, წულუკიძის ქ. № 7.

ი17/13